ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5298866

ნომერი: AR1805218

თარიღი : 20.02.2021

გაცემის თარიღი : 22.02.2021

გაცნობის თარიღი : 24.02.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მუხრან მაჭავარიანის , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა გოგოხია პ/ნ 01017052454
- თბილისი ლუარსაბ შარაშიძის ქ. N 2/4 ბ. 6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.019.001) ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის განთავსება შესაძლებელია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობით, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.
შესაბამისად თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge-ზე და წარმოადგინოთ, მათ მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე გაცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბრძანება და მათ ნიერ გაცემული დასკვნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ასევე გაითვალისწინეთ: აღნიშნულის მოპოვების შემთხვევაში თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოებისათვის საჭიროა აირჩიოთ ნომენკლატურ I კლასი დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა- ახალი მშენებლობა და წარმოადგინოთ მისი ახალი განთავსების სქემა , ისეთი სახით,რომ ავტოსამრეცხაოს ბოქსებში შესვლა უნდა განხორციელდეს ისე, რომ ქუჩის მხრიდან არ იყოს აღქმადი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.